ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 090402/10/060

ქ.თბილისი 8 აგვისტო 2011 წელი

ქვემო ხელმომწერნი, ერთის მხრივ ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა (შემდეგში წოდებული როგორც „შემსყიდველი“), გამგებლის თ. გრიგალაშვილის სახით და მეორეს მხრივ სს „თბილქალაქმშენის“ ფილიალი სსპც „თბილპროგრესპროექტი“ (შემდეგში წოდებული როგორც მიმწოდებელი), დირექტორის გ. ჭოხონელიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია კასპის ქუჩა №4 ავარიული საცხოვრებელი სახლის წინმსწრები დამზღვევი ღონისძიებების საპროექტო მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად (CPV კოდი 71320000).

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 ხელშეკრულების ობიექტია კასპის ქუჩა №4 ავარიული საცხოვრებელი სახლის წინმსწრები დამზღვევი ღონისძიებების საპროექტო მომსახურების განხორციელება. საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გაანგარიშება მოცემულია დანართში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1500 (ათას ხუთასი) ლარს, დღგ-სა და საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო სხვა თანმდევი მომსახურებების ღირებულებებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 25 აგვისტომდე;
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი – ნავთლუღის ქუჩა №8-1.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით, ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში;
6.2 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება როგორც წესი მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის იურიდიულ მისამართზე;
6.3. ანაზღაურების ადგილი ქ.თბილისი.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე;
7.2. ინსპექტირებას განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი: ბ. გაზდელიანი-გამგებლის მოადგილე, შ.გრიგოლია-ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი, ა.ნებიერიძე-საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი და გ. გოშაძე-საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან 2011 წლის 1 სეტქმბრამდე.

9. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;
9.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
9.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
9.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
9.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები და ბეჭედი

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა	სს „თბილქალაქმშენის“ ფილიალი
	სსპც „თბილპროგრესპროექტი“
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1	ქ.თბილისი, წერეთლის გამზ. №57
სს „ლიბერთი ბანკის“	სს „საქართველოს ბანკი“
ცენტრალური ფილიალი	
ა/ა GE95LB 0125152101627000	ა/ა GE40BG0000000125608300
კოდი LBRTGE22	კოდი BAGAGE22
საიდენტ. კოდი 208204959	საიდენტ. კოდი 201 950 451
გამგებელი	**დირექტორი**
----------თ. გრიგალაშვილი	----------გ. ჭოხონელიძე

საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გაანგარეიშება

ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, კასპის ქ. №4-ში მდებარე, ორსართულიანი ავარიული საცხ. სახლის გამაგრება-გაძლიერება /წინმსწრებ-დამზღვევი ღონისძებები/

№	სამუშაოს (ან ეტაპების) დასახელება	საპროექტო სამუშაოების ღირებულება (გაანგარიშება) დ.ღ.გ.-ს გარეშე ლარებში	სულ ღირებულება დ.ღ.გ.-ს ჩათვლით ლარებში	მათ შორის დ.ღ.გ. 18% ლარებში
1	2	3	4	5
	სულ საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება მათ შორის:	*1271.19*	*1500.00*	*228.81*
1.	შენობის შესწავლა-გამოკვლევა, აზომვითი ნახაზებისა და დასკვნის შედგენა		*190.00*	
2	რეკომენდაციების დასხვა გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევ ღონისძიებებზე და ესკიზური ნახაზების შედგენა		*240.00*	
3	კონსტრუქციული გადაწყვეტები (გახანგრძლივებული) დროებითი სამაგრების დაყენებაზე		*370.00*	
4	სამუშაო ნახაზების სრული კომპლექტი, მშენებლობის ორგანიზაციის და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების განსაზღვრის ჩათვლით		*700.00*	

ღირებულების გაანგარიშება ითვალისწინებს ყველა სახის გადასახადსა და პირდაპირ ხარჯებს.

ს.ს. "თბილქალაქმშენი"-ს ფილიალის
"თბილპროგრესპროექტი"-სდირექტორი — გ. ჭოხონელიძე

შეადგინა; მთ.ინჟინერი — გ. გედევანიშვილი